ჩვენი სპეციალური კორესპონდენტები ზ. ჯაფარიძე, ჯ. ენუქიძე და თ. გაჩეჩილაძე მოსკოვიდან გვატყობინებენ:

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

№ 144 (4394)

1971 წ. 21 ივლისი, ოთხშაბათი.

ფასი 2 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 18 აპრილიდან

## სპარტაკიადის ტაბლო

მდგომარეობა 20 ივლისისთვის

რსფსრ — 954,5
უკრაინა — 951,5
მოსკოვი — 825,5
ლენინგრადი — 563
ბელორუსია — 481
საქართველო — 421,5
ლატვია — 268
ყაზახეთი — 247
ესტონეთი — 239
ლიტვა — 200,5
აზერბაიჯანი — 124,5
მოლდავეთი — 115
უზბეკეთი — 83
ყირგიზეთი — 75,5
სომხეთი — 58,5
ტაჯიკეთი — 32,5
თურქმენეთი — 7,5

## ოქროს პრიზიორები

(სამბო)

ნ. ქარელი

გ. გოგოლაური

## ვერცხლის პრიზიორები

(კლასიკური ჭიდაობა)

ო. ტატიშვილი

ო. გლიაძე

## ერთი საფეხურით წინ

პისტოლეტით 25 მეტრზე სროლა თანამედროვე ხუთჭიდელთათვის მესამე სახეობა იყო. ალაბინოს სასროლეთზე გამართულ ამ ასპარეზობას საბოლოოდ უნდა გამოეკვეთა მომავლის კონტურები. ამას იმიტომ ვამბობთ, რომ ცურვასა და მძლეოსნურ კროსში (ასპარეზობის ბოლო სახეობები) ყოველ სპორტსმენს შეუძლია ქულათა დაახლოებითი მარაგი ივარაუდოს.

ერთი სიტყვით, მესამე სახეობის (სროლა) შემდეგ სამარჩიელო და საფიქრალი ბევრი არაფერი დარჩა. ბუნებრივია, ჩვენ ამთავითვე გვაინტერესებს საქართველოს ხუთჭიდელთა პერსპექტივები. ვფიქრობთ, პირად პირველობაში წარმატების ყოველგვარი შანსი გადაწურულია (სამი სახეობის შემდეგ პ. რუბეჟანსკი მე-19 ადგილზეა — 2543 ქულა, ვ. კალინინი ოცდამეორეა — 2470, ა. მაროტი — ოცდამეათე — 2380). სროლაში წარმატებით ასპარეზობის შემდეგ გუნდურ ჩათვლაში ჩვენებმა მეცხრედან VIII ადგილზე გადმოინაცვლეს. როგორც ხედავთ, უკან დასახევი გზა აღარაა. თუმცა არც მიღწეულის შენარჩუნება იქნება იოლი, ვინაიდან ძირითად მეტოქეებთან — ლატვიის, უზბეკეთის, ყირგიზეთისა და სომხეთის კოლექტივებთან ჩვენები არც ისე პატარა სხვაობით აგებენ.

ცეცხლის ხაზზე ყველაზე მეტი ქულა მაროტიმ დააგროვა: 200 შესაძლებლიდან 194 ქულა აიღო და პირად ჩათვლაში VI ადგილი დაიკავა. რუბეჟანსკიმ სამიზნეს ერთით მეტი ააცდინა და IX ადგილზეა. თავისთავად ეს არ იყო ცუდი მაჩვენებელი, კალინინს შესაძლებლობის ფარგლებში რომ ესასპარეზა (184 ქულა, 36-ე-39-ე ადგილები).

გ. გუჟოვმა (აზერბაიჯანი), ი. ტოგობეცკიმ (ყაზახეთი) და ი. ზალოზნიმ (ყირგიზეთი) ქულათა თანაბარი რაოდენობა (195) დააგროვეს. გუჟოვსა და ტოგობეცკის „ათიანებიც" ერთნაირი ჰქონდათ. დამატებით სერიაში გაიმარჯვა გუჟოვმა. ზალოზნი III ადგილზე დარჩა.

გუნდური ჩათვლა ამ სახეობაში უზბეკეთის ნაკრებმა მოიგო — 2912 ქულა. აზერბაიჯანის კოლექტივი II ადგილზეა — 2780. III-IV ადგილები გაიყვეს საქართველომ და ყირგიზეთმა — 2758 ქულა თითოეულს.

3 სახეობის შემდეგ პირად ჩათვლაში 2901 ქულით კვლავ ლიდერობს მოსკოველი ს. ლუკიანენკო. მას მთელი 101 ქულით ჩამორჩება რსფსრ-ს წარმომადგენელი ვ. შმელიოვი. III ადგილზეა ერევნელი ე. ბაროიანი — 2759.

გუნდურ ჩათვლაში პირველი სამეული არ შეცვლილა: რსფსრ (7999), ყაზახეთი (7985), მოსკოვი (7753). საქართველოს ხუთჭიდელები 7393 ქულით VIII ადგილზე არიან.

### 21 : 19

ისევე როგორც „კლასიკოსთა" შეჯიბრებაში, ხელბურთელთა ტურნირშიც ალმის ამართვის საპატიო უფლება ქართველმა სპორტსმენმა მიიღო. ეს გახლდათ ჩვენი საუკეთესო ხელბურთელი ჯ. ცერცვაძე. საზეიმო ცერემონიალის შემდეგ საქართველოს ხელბურთელმა ვაჟებმა თავიანთი პირველი მატჩი გამართეს. მათი მეტოქე ბელორუსიის ნაკრები იყო.

ამ დღეს ბელორუსიელთა კოლექტივი არც თუ ძლიერ მეტოქედ მოგვევლინა. მაგრამ მან მაინც ბევრი უსიამოვნო წუთი განაცდევინა ჩვენებს. საქმე ისაა, რომ თითქმის მთელი მატჩის მანძილზე ორივე მხარე ღელავდა, განსაკუთრებით კი ჩვენი გუნდი. ამიტომაც ხშირი იყო შეცდომები ბურთის გათამაშებისას და კარში საბოლოო ტყორცნისას. ეს რომ არა, საქართველოს ნაკრები უთუოდ დამაჯერებელ გამარჯვებას მიაღწევდა. ქართველ ხელბურთელთა შორის ყველა როდი იბრძოდა გაბედულად. სწორედ ამ გაუბედავი თამაშის მიზეზი იყო, რომ მეტოქეები რამდენიმეჯერ დაწინაურდნენ, თუმცა ამას ეპიზოდური ხასიათი ჰქონდა: ჩვენები, როგორც წესი, სწრაფად ახერხებდნენ ანგარიშის გათანაბრებას და წინ წასვლასაც.

მატჩის სტენოგრამით თუ ვიმსჯელებთ, ამ შეხვედრაში შეიძლება რამდენიმე მნიშვნელოვანი მომენტი გამოიყოს. თავდაპირველად ჩვენები დაწინაურდნენ — 3:1, შემდეგ კი უპირატესობა ცვალებადი იყო — 3:3, 6:8, 8:8, 11:8. ტაიმი საქართველოს ხელბურთელებმა მოიგეს — 12:10.

შესვენების შემდეგ ერთხანს მდგომარეობა გაურკვეველი იყო, მაგრამ, როცა ჩვენები ბოლოს და ბოლოს დაწინაურდნენ (19:15), ცხადი გახდა, რომ გამარჯვებას ხელიდან აღარ გაუშვებდნენ. ასეც მოხდა: გაიმარჯვა საქართველოს გუნდმა — 21:19.

ამ შეხვედრაში თავი ისახელეს ხუციშვილმა, ცერცვაძემ, ფხაკაძემ და დვალიშვილმა. სწორედ ამ ოთხი მოთამაშის მხრებზე გადავიდა მატჩის მთელი სიმძიმე. ცერცვაძემ გაიტანა ყველაზე მეტი, 8 გოლი, დვალიშვილმა — 5, ფხაკაძემ — 4, ბერიაშვილმა — 2, აბესაძემ და ნარიმანიძემ — თითო.

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ახალგაზრდა მოთამაშეები აბესაძე და ნარიმანიძე კარგად ასრულებდნენ მათზე დაკისრებულ მოვალეობას.

## ორი მსოფლიო რეკორდი ხუთ წუთში

ძალოსანთა შეჯიბრებაში 19 ივლისს სპარტაკიადის ჩემპიონობას ერთმანეთს მსუბუქი წონის ათლეტები ეცილებოდნენ. გაიმარჯვა მ. კირჟინოვმა (მოსკოვი) — 435 კგ. II ადგილზე გავიდა პ. კოროლი (უკრაინა) — 432,5 კგ, III — ვ. დრექსლერი (ყაზახეთი) — 430 კგ. ამ უკანასკნელმა 149,5 კგ აჭიმა, რაც 1 კილოგრამით უკეთესია მსოფლიო რეკორდზე. მაგრამ დრექსლერი არც ამით დაკმაყოფილდა: შეატყო, რომ კიდევ შესწევდა ძალა და 152,5 კგ-ს შეუტია. ცდა წარმატებით დამთავრდა. სპორტის ამ სახეობის სპეციალისტებმა განაცხადეს, დრექსლერის ახალი რეკორდი მართლაც ფენომენალურიაო.

საქართველოს სპორტულ ღირსებას მსუბუქ წონაში ვ. ლობჟანიძე იცავდა. მან VII ადგილი დაიკავა (397,5 კგ — 127,5+120+150) და ჩვენი რესპუბლიკის სპორტულ დელეგაციას ჩათვლა მისცა.

## პირველი მატჩები, პირველი განცდები

საქართველოს ფრენბურთელ ქალებსა და ვაჟებს კენჭისყრის დროს ბედმა არ გაუღიმათ — ძლიერ ჯგუფებში მოხვდნენ და, თუ რაღაც სასწაული არ მოხდა, შეუძლებელია ფინალში გავიდნენ. მაგრამ, როგორც იცით, სპორტში სასწაულები ხშირია და ჩვენი გუნდებიც იმედით ცხოვრობენ.

ქალები პირველ დღეს ლიტველებს შეხვდნენ. საფიქრებელი იყო, რომ სარბიელზე საინტერესო ბრძოლა გაიმართებოდა. თავდაპირველად ჩვენებს გაუბედაობა ეტყობოდათ, მაგრამ ხულ მალე ისინი გონს მოვიდნენ და ენერგიულად შეუტიეს მეტოქეს. მატჩის ბედი სულ მალე გადაწყდა. პირველ პარტიაში ჩვენებმა დიდი ანგარიშით გაიმარჯვეს — 15:2, მეორეში — 15:7. ახლა ლიტველები გამოფხიზლდნენ. ეს იმდენად მათი დამსახურება არ იყო, რამდენადაც ჩვენების შეცდომა, რომლებმაც შეხვედრის მოგება ერთი ხელის მოსმით მოინდომეს. პარტია ბოლოს და ბოლოს მაინც მოვიგეთ, მაგრამ ამჯერაც გაგვიჭირდა — 17:15.

მატჩის შემდეგ ვესაუბრეთ ნაკრების მწვრთნელს ს. ტარახჩიანს. იგი კმაყოფილი იყო. გუნდის შემადგენლობიდან არავინ გამოყო. მწვრთნელის აზრით, ყველამ თანაბრად ითამაშა და ზუსტად შეასრულა წინასწარი გეგმა.

ვაჟების მეტოქე პირველ წრეში უკრაინის გუნდი იყო. ბრძოლა, რა თქმა უნდა, უთანაბრო გამოდგა. უკრაინელები სპარტაკიადის ჩემპიონობას უმიზნებენ და რა გასაკვირია, რომ ეს მატჩი იოლად მოიგეს — 3:0 (15:3, 15:3, 15:6).

## ხალიჩიდან ხალიჩაზე

მოსკოვი, 20 ივლისი. ორიოდე დღეა, რაც დამთავრდა სამბისტთა სასპარტაკიადო ტურნირი და აი, გუშინ, გამარჯვებულები კვლავ სარბიელზე გამოვიდნენ. საქმე ის არის, რომ სპარტაკიადის სამ-სამმა პრიზიორმა, აგრეთვე, საკავშირო შეჯიბრების ფინალისტებმა (ეს ტურნირი სასპარტაკიადო ასპარეზობის პარალელურად მიმდინარეობდა), შექმნეს უძლიერესთა ჯგუფი, რომლის წევრებმაც ყოველ წონაში სსრ კავშირის ჩემპიონის ტიტული გაითამაშეს.

აი, ოქროს მედლების მფლობელნიც (წონითი კატეგორიების მიხედვით): ვ. კიულენენი, ს. სუსლინი (ლენინგრადი), ქ. გერასიმოვი (სარატოვი), ვ. ნევზოროვი (მაიკოპი), ა. ფიოდოროვი (სვერდლოვსკი), რ. ხარშილაძე (თბილისი), ვ. პოკატაევი (ლენინგრადი), ვ. რუხლიადევი (ოდესა), ს. ნოვიკოვი (კიევი), ვ. კუზნეცოვი (მოსკოვი).

მოსკოვი, 20 ივლისი. „ოქროს დუბლს" მიაღწიეს აქ გამართულ საკავშირო პირველობაში ხალხთა V სპარტაკიადის ჩემპიონებმა კლასიკურ ჭიდაობაში: ბაქოელმა ფ. ყურბანოვმა (48 კგ-მდე), ტალინელმა ვ. სპირიდონოვმა (62 კგ-მდე), მსოფლიო ჩემპიონებმა — ლენინგრადელმა ა. როშჩინმა (100 კგ-ს ზევით), ალმაათელებმა ა. ნაზარენკომ (82 კგ-მდე) და ვ. რეზანცევმა (90 კგ-მდე) — მათ გუშინ ქვეყნის ჩემპიონთა წოდება მოიხვეჭეს.

დანარჩენ წონით კატეგორიებში სსრ კავშირის ჩემპიონები გახდნენ: ნოვოსიბირსკელი კ. ოლზოევი (52 კგ-მდე), 1969 წლის მსოფლიო ჩემპიონი — ტაშკენტელი რ. კაზაკოვი (57 კგ-მდე), კიეველი ა. კარმაცკიხი (100 კგ-მდე).

პირველად მოიპოვეს ეს წოდება ტულელმა შ. ხისამუტდინოვმა (68 კგ-მდე) და რიგელმა ი. კლინტსონმა (74 კგ-მდე).

## ოქროს პრიზიორები

ბაიდარებითა და კანოეებით სასპარტაკიადო რეგატაში შესანიშნავად გამოვიდნენ ფოთელი სპორტის ოსტატები ზ. ხოფერია და ნ. ჩარაევი, რომლებმაც ფინალის საგზური ორადგილიანი კანოეებით 1000 მეტრზე რბოლაში წინასწარ ტურნირშივე მოიპოვეს, ხოლო შემდეგ ფინალში დაადასტურეს, რომ მათი გუშინდელი წარმატება კანონზომიერი იყო: რსფსრ-ს, მოსკოვის, უკრაინის, ბელორუსიის და სხვა გუნდების ეკიპაჟებთან ბრძოლაში ხოფერიამ და ჩარაევმა ოქროს მედლებთან ყველას მიასწრეს, თანაც II ადგილზე გასული რსფსრ-ს დუეტი ნახევარი წუთით ჩამოიტოვეს.

• • •

სურათზე: ხოფერია და ჩარაევი ასპარეზობის შემდეგ.



# [illegible] შედეგები...

მძლეოსნობა. ვ. ი. ლენინის სახელობის ცენტრალური სტადიონი.

**ქალები. რბენა. 100 მ.** ნ. ბესფამილნაია—11,5 (სპარტაკიადის მიღწევა), გ. მიტროხინა (მოსკოვი) — 11,6, რ. ნიკანოროვა (რსფსრ) — 11,6; **200 მ.** ბესფამილნაია —23,2 (სპარტაკიადისა და მოსკოვის რეკორდი), ნ. ჩისტიაკოვა (მოსკოვი) —23.7, ნიკანოროვა—23,7; **800 მ.** რ. რუსი (ესტონეთი) — 2.08,0, თ. კაზაჩკოვა (რსფსრ) — 2.08,5, თ. პანგელოვა (უკრაინა) — 2.08,9. **100 მ თარჯრბენი.** ლ. კონონოვა (ყაზახეთი) — 13,6, თ. კონდრაშოვა (ლენინგრადი) — 13,7, ნ. ლებედევა (მოსკოვი) — 13,8. **შუბის ტყორცნა.** ნ. მარაკინა (უკრაინა) — 55,34, ე. ოზოლინა — 55,28, მ. საულიტე (ლატვია) — 52,92. **ესტაფეტა 4X100 მ.** მოსკოვი — 44,7 (მოსკოვის რეკორდი). ლენინგრადი — 45,3, რსფსრ — 45,8 (რესპუბლიკის რეკორდი); **4X400 მ.** მოსკოვი — 3.36,1 (მოსკოვის რეკორდი), რსფსრ — 3.39,4 (რესპუბლიკის რეკორდი), უკრაინა — 3.40,6 (რესპუბლიკის რეკორდი). **ბირთვის კვრა.** ა. ივანოვა — 19,39 (სპარტაკიადის მიღწევა, საბჭოთა სპორტის ისტორიაში მეორე და მსოფლიოში მესამე შედეგი), გ. ნეკრასოვა (მოსკოვი) — 18,49, ფ. მელნიკი (სომხეთი) — 17,73. **ხუთჭიდი.** ვ. ტიხომიროვა (რსფსრ) — 5120, ნ. ტკაჩენკო (უკრაინა) — 4930, ვ. ტკაჩენკო (ყაზახეთი) — 4778.

**ვაჟები. რბენა. 100 მ.** ვ. ბორზოვი (უკრაინა) — 10,1 (სპარტაკიადის მიღწევა), ა. კორნელიუკი (აზერბაიჯანი) — 10,2, ა. ქიდკიბი (ბელორუსია) — 10,3; **200 მ.** ბორზოვი — 20,2 (ევროპის რეკორდი), ქიდკიბი — 20,6, ა. ლებედევი — 21,0; **1500 მ.** მ. ჟელობოვსკი (ბელორუსია) — 3.40,6 (სპარტაკიადის მიღწევა), ვ. პანტელეი (უკრაინა) — 3.40,6, ვ. სემიაშკინი (ბელორუსია) — 3.41,2. **ესტაფეტა 4X100 მ.** უკრაინა — 39,2 (რესპუბლიკის რეკორდი), ბელორუსია — 39,4 (რესპუბლიკის რეკორდი), მოსკოვი — 40,0. **100 მ თარჯრბენი.** ა. მოშიაშვილი (საქართველო) — 13,9 (სპარტაკიადის მიღწევა, საქართველოს რეკორდი), ვ ბალიხინი (ბელორუსია) — 14,0, გ. ლისინი (აზერბაიჯანი) — 14,0. **3000 მ წინაღობებით.** პ. სისოევი (რსფსრ) — 8.30,6 (სპარტაკიადის მიღწევა), რ. ბიტე (ლიტვა)—8.31,2, ვ. დუდინი (ბელორუსია) — 8.31,4. **მარათონული რბენა.** ი. ველიკოროდნიხი — 2:19.10,6 (სპარტაკიადის მიღწევა), ა. ანისიმოვი (რსფსრ) — 2:19.19,2, ა. ბარანოვი (ლიტვა) — 2:19.26,8. **სიმაღლეზე ხტომა.** რ. ახმეტოვი (უკრაინა) — 223 (სპარტაკიადის მიღწევა, უკრაინის რეკორდი, წლეულს სეზონში მსოფლიოში მეორე შედეგი), კ. შაპკა (ლიტვა) —217, ლ. ტივიკოვი (ლატვია) — 214. **სიგრძეზე ხტომა.** ი. ტერ-ოვანესიანი (მოსკოვი) — 788, ლ. ბარკოვსკი — 781, ვ. პოდლუჟნი (უკრაინა) — 777. **სამხტომი.** ვ. სანეევი (საქართველო) — 17,16 (სპარტაკიადის მიღწევა, წლეულს მსოფლიოში საუკეთესო შედეგი), გ. ბესონოვი (რსფსრ)—16,47, ნ. დუდკინი (მოსკოვი) — 16,27. **ბადროს ტყორცნა.** ვ. ლიახოვი — 62,14 (სპარტაკიადის მიღწევა), ვ. პენზიკოვი (რსფსრ) — 57,98, ე. ერიქსონი (ესტონეთი) — 57,34. **უროს ტყორცნა** — რ. კლიმი (ბელორუსია) — 70,84 (სპარტაკიადის მიღწევა), ი. გამსკი (უკრაინა) — 70,04, ვ. ხმელიოვსკი (რსფსრ) — 69,54. **სპორტული სიარული. 20 კმ.** ნ. სმაგა (რსფსრ) — 1:28.29,8, ე. ივჩენკო (ბელორუსია) — 1:28.33.0, ბ. იაკოვლევი (უკრაინა) — 1:29.03,8; **50 კმ.** სოლდატენკო (ყაზახეთი) — 4:04.27,2, ო. ბარჩი (ყირგიზეთი) — 4:05.07,0, ი. დელა-როსა (საქართველო) — 4:05.12,6. **ათჭიდი.** ლ. ლიტვინენკო (უკრაინა) — 7861 (სპარტაკიადის მიღწევა), ი. ლანკა (ლატვია) — 7826, ა. ბლინიაევი (ბელორუსია) — 7775.

## ბოლო დღე — 19 ივლისი

**ქალები. რბენა. 400 მ.** ნ. ჩისტიაკოვა (მოსკოვი) — 53,9, ი. ალექსანდროვა (ყაზახეთი) — 54,2, ლ. აქსიონოვა (უკრაინა) — 54,4; **1500 მ.** პანგელოვა — 4.13,7 (სპარტაკიადის მიღწევა), ლ. ბრაგინა (რსფსრ) — 4.14,7, ა. ვეისა (ლატვია) — 4.14,8. **სიგრძეზე ხტომა.** ტ. კოცარი (უკრაინა) — 632 (სპარტაკიადის მიღწევა), ლ. ილინა (რსფსრ) — 624, ჰ. რინგა (ლატვია) — 622. **სიმაღლეზე ხტომა.** ვ. გავრილოვა (ლენინგრადი) — 180 (სპარტაკიადის მიღწევა), ა. ლაზარევა (რსფსრ) — 180, ვ. ავილოვა (უკრაინა) — 180. **ბადროს ტყორცნა.** თ. დანილოვა (ლენინგრადი) — 60,80 (სპარტაკიადის მიღწევა), ფ. მელნიკი (სომხეთი) — 60,72, ლ. მურავიოვა (მოსკოვი) — 59,42.

**ვაჟები. რბენა. 400 მ.** ა, ბრატჩიკოვი (მოსკოვი) — 46,1 (სპარტაკიადის მიღწევა). ე. ბორისენკო — 46,5, ს. კოჩარი (რსფსრ)—46,6; **800 მ.** ე. არჟანოვი (უკრაინა) — 1.45,8 (სპარტაკიადის მიღწევა), ი. ივანოვი (რსფსრ) — 1.46,2, ე. ვოლკოვი (უკრაინა) — 1.47,4; **5000 მ.** რ. შარაფეტდინოვი (ლენინგრადი) — 13.33,6 (სსრ კავშირის რეკორდი), ვ. აფონინი (მოსკოვი) — 13.33,6, ი. გრუსტინში (ლატვია) — 13.34,2. **400 მ თარჯრბენი.** ვ. სკომოროხოვი (უკრაინა) — 49,8 (სპარტაკიადის მიღწევა), ე. გავრილენკო (ბელორუსია) — 50,2, დ. სტუკალოვი (ლენინგრადი) — 50,4. **ჭოკით ხტომა.** ე. ტანანიკა — 510. გ. ბლიზნეცოვი (უკრაინა) — 510, ნ. კეიდანი (რსფსრ) — 500. **ბირთვის კვრა.** ვ. ვოიკინი (ლენინგრადი) — 19,69 (სპარტაკიადის მიღწევა), რ. პლუნგე (ლიტვა) — 19,49, ე. გუშჩინი (რსფსრ) — 19,14. **შუბის ტყორცნა.** ი. ლუსისი (ლატვია) — 87,60 (სპარტაკიადის მიღწევა), ნ. გრებნევი (ბელორუსია) — 81,14, ა. მაკაროვი (რსფსრ) — 79,16.

გუნდურ ჩათვლაში გაიმარჯვეს უკრაინელებმა. შემდეგ არიან: რსფსრ, მოსკოვი, ლენინგრადი, ბელორუსია, ლატვია.

## დღეს

გრძელდება შეჯიბრებები სპორტის 9 სახეობაში. სტარტს აიღებენ მოკრივეები, თავისუფალი სტილის მოჭიდავენი, ტანმოვარჯიშეები და ცხენოსნები.

**ფრენბურთში,** ჯგუფური შეჯიბრებების III ტურში, საქართველოს ქალთა გუნდი სომხეთის ნაკრებს შეხვდება, ჩვენი ვაჟები კი თურქმენეთის წარმომადგენლებთან იასპარეზებენ.

**წინასწარ** მატჩებს ატარებენ ხელბურთელებიც. ბრძოლაში ჩაებმება ჩვენი ქალთა გუნდიც. მისი პირველი მეტოქე აზერბაიჯანის კოლექტივი. საქართველოს ვაჟები ისვენებენ.

**„კრილია სოვეტოვის“** სპორტის სასახლის რინგზე გაიმართება პირველი ტურის ბრძოლები ყველა წონაში.

**„სპარტაკის“** ზამთრის მძლეოსნურ მანეჟში გაიმართება თავისუფალი სტილის მოჭიდავეთა წინასწარი შეხვედრები.

**ვ. ი. ლენინის** სახელობის ცენტრალური სტადიონის სპორტის სასახლეში სასპარტაკიადო ასპარეზობაში ჩაებმებიან ტანმოვარჯიშეები. პროგრამაშია ვაჟთა შეჯიბრება სავალდებულო პროგრამით. საქართველოს გუნდი სტარტს საღამოს აიღებს უძლიერესთა ცვლაში მოსკოვის, უკრაინის, ლენინგრადის, რსფსრ-სა და ყაზახეთის კოლექტივებთან ერთად.

**„სპარტაკის“** საცხენოსნო ბაზაზე სადგურ პლანიორნაიაში გაიმართება ასპარეზობა სამჭიდში (სამანეჟო ხვლა).

**საწყლოსნო** სპორტის სასახლეში გრძელდება წყალბურთელთა წინასწარი შეხვედრები. საქართველოს გუნდი უკრაინის ნაკრებს ხვდება.

**თანამედროვე** ხუთჭიდელებს ლენინის გორის მიდამოებში მძლეოსნური კროსი აქვთ.

**ცსკა-ს** ძალოსნობის სასახლეში გაიმართება საშუალო წონის ათლეტთა შეჯიბრება.

## საჯდელის მოგვითხრობს

## მნიშვნელოვანი წინსვლა

საქართველოს ნიჩბოსნებმა მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადადგეს წინ — სპარტაკიადის სტარტზე კარგად გამოვიდნენ „აკადემიკოსები“, ახლა კი ბაიდარებისა და კანოეების ოსტატები. თავიანთ გუნდს ორადგილიანი ბაიდარებით 1000 მეტრზე შეჯიბრებაში ოქროს მედალი მოუტანეს ა. მატკავამ და ვ. კრატასიუკმა.

ეს ეკიპაჟი განსაკუთრებულ ქებას იმსახურებს. ა. მატკავა უკვე 30 წლისაა. წინა სპარტაკიადაში იგი პრიზიორი იყო. მერე სურდა სარბიელისთვის თავი დაენებებინა და მწვრთნელად დაეწყო მუშაობა, მაგრამ... მოწაფედ კრატასიუკი შეხვდა. ასე იქცა მატკავა მწვრთნელად და მომსმელ მენიჩბედ ერთდროულად. რა გზა განვლო მან პრიზიორობიდან ჩემპიონობამდე?

— დიახ, ოთხი წელი გავიდა, — თქვა სპორტსმენმა. — წლევანდელ სეზონში სამი ათასი კილომეტრი გავიარეთ. მედლის მოგება არასოდეს არ არის გვიან.

• • •

**სურათზე:** საქართველოს ოქროს დუეტი. წინ ზის მატკავა.

## ოლიმპიადის გზაზე

**უფა, 19 ივლისი.** როგორც ცნობილია, აქ ჩატარდა სსრ კავშირის ხალხთა V საზაფხულო სპარტაკიადის ფინალური შეჯიბრება ჭაბუკ ტანმოვარჯიშეთა შორის. როგორც მუდამ ხდება ახალგაზრდულ ასპარეზობებში, ამჯერადაც ვიხილეთ სიახლე. მაგალითად, საქართველოს სპორტსმენმა პ. შამუგიამ (მწვრთნელი პ. ბურჯანაძე) და აზერბაიჯანის წარმომადგენელმა ა. პანტელეევმა (მწვრთნელი ა. პეტროსოვი) ძელზე სრულიად ახალი ელემენტები გვიჩვენეს.

დარწმუნებული ვართ, უფის ტურნირის მონაწილეთა შორის ქვეყნის ნაკრების კანდიდატებიც არიან. ახალგაზრდებს ხსნილი აქვთ გზა 1974 წლის მსოფლიო ჩემპიონატისა და 1976 წლის ოლიმპიადისკენ.

# სხვა შეხვედრები

ფრენბურთელ ვაჟთა ტურნირის პირველ დღეს მხოლოდ ერთი ბრძოლა გამოდგა დაძაბული (ყველა სხვა შეხვედრაში ფავორიტებმა იოლად გაიმარჯვეს). აზერბაიჯანისა და ლატვიის გუნდების შესაძლებლობანი დაახლოებით თანაბრად ფასდებოდა. ორსაათიანი მწვავე ბრძოლა ბოლოს და ბოლოს ბალტიისპირელებმა მოიგეს — 3:2. **III ჯგუფში,** სადაც ეს კოლექტივები გამოდიან, ძნელია ფავორიტთა დასახელება. აქ ფინალურ ნაწილში გასასვლელად ლატვიისა და აზერბაიჯანის ფრენბურთელთა გარდა ლენინგრადისა და ყაზახეთის წარმომადგენლებიც იბრძვიან (ყაზახეთის გუნდი პირველ წრეში ისვენებდა).

I **ჯგუფის** ლიდერები არიან უკრაინისა და რსფსრ-ს კოლექტივები. უკრაინელებმა, როგორც აღვნიშნეთ, საქართველოს ნაკრებს სძლია, რუსეთის ფედერაციამ კი თურქმენეთის გუნდს — 3:0. ამ ჯგუფში გაიმართა კიდევ ერთი მატჩი: სომხეთი — აზერბაიჯანი. გაიმარჯვეს სომხეთის სპორტსმენებმა — 3:1.

II **ჯგუფში** პირველი ქულები ჩაიწერეს ბელორუსიისა და ესტონეთის კოლექტივებმა (ანგარიშით 3:0 შესაბამისად დაამარცხეს ლიტვისა და უზბეკეთის გუნდები). მთავარი ფავორიტი — მოსკოვის კოლექტივი — ამ დღეს ისვენებდა.

ქალთა შეხვედრები ასე დამთავრდა: I **ჯგუფი.** რსფსრ — სომხეთი 3:0 (საქართველოსა და ლიტვის ფრენბურთელთა ანგარიში თქვენ უკვე იცით). II **ჯგუფი.** ლატვია — ყაზახეთი 3:1, ლენინგრადი — ტაჯიკეთი 3:1. უკრაინელები ისვენებენ. III **ჯგუფი.** აზერბაიჯანი — თურქმენეთი 3:0, უზბეკეთი — ბელორუსია 3:1, ყირგიზეთი — ესტონეთი 3:1.

• • •

ხელბურთელთა ტურნირის გრაფიკი ოდნავ გაჭიანურებულია. ამას რამდენიმე მიზეზი აქვს, მაგრამ მთავარი, ჩვენი აზრით, ის არის, რომ ზოგმა კოლექტივმა სულ ბოლო მომენტში უარი თქვა მოსკოვში ჩამოსვლაზე. მსაჯთა კოლეგიამ, რა თქმა უნდა, ვეღარ შეასწორა გრაფიკი, ვინაიდან იგი რამდენიმე თვის წინ, კენჭისყრის დროს დამტკიცდა. სამაგიეროდ, ხელბურთელებს ერთი დადგენილი დასვენების დღე გაუუქმდათ.

როგორი შედეგებით აღინიშნა ჯგუფური ტურნირების პირველი დღე? წინასწარ გეტყვით, რომ ქალთა და ვაჟთა I ჯგუფების კოლექტივებს კალენდრის მიხედვით ჯერ არ უწევთ თამაში. ვაჟთა II ჯგუფში საქართველოსა და ბელორუსიის ხელბურთელთა გარდა ასპარეზობდნენ ლატვიისა და აზერბაიჯანის კოლექტივები. გაიმარჯვეს ბალტიისპირელებმა — 21:19.

II ჯგუფში გაიმართა ორი შეხვედრა. მოლდაველთის გუნდმა საკმაოდ დამაჯერებლად მოუგო ლენინგრადელებს — 27:20, ხოლო ყაზახეთისა და უზბეკეთის ხელბურთელთა უაღრესად მძაფრ ბრძოლაში მინიმალური უპირატესობა ყაზახეთის სპორტსმენთა მხარეს იყო — 19:18.

ქალთა II ჯგუფში ერთადერთი ბრძოლა შედგა: სომხეთის კოლექტივმა დაამარცხა უზბეკეთის გუნდი — 14:13.

III ჯგუფის შეხვედრები ასე დამთავრდა: ბელორუსია — ყირგიზეთი 16:12, მოსკოვი — მოლდაველთი 18:14.

## გუშინ...

საქართველო — მოლდაველთის მატჩით დაიწყო წყალბურთელთა ტურნირი. ჩვენები მთელი თავით მაღლა იდგნენ მეტოქეზე და გაიმარჯვეს — 10:4 (3:0, 3:2, 2:1. 2:1). მოწინააღმდეგის კარში ბურთები გაიტანეს: ისელიძემ (4), კურტანიძემ (3), მიმინოშვილმა (2) და წიკლაურმა. მოლდაველთაგან ოთხივე გოლის ავტორია ზელენიუკი.

(ტელეფონით, ჩვენი სპეც. კორ.).

# მოზარდებმა დავა დაამთავრეს

სსრ კავშირის ხალხთა V სპარტაკიადის პროგრამით გათვალისწინებულ მოზარდ მძლეოსანთა შეჯიბრებას ვორონეჟის „ტრუდის“ სტადიონი მასპინძლობდა. სარბიელზე საკმაოდ ძლიერმა სპორტსმენებმა მოიყარეს თავი და ამიტომ თითქმის ყველა სახეობაში ახალ-ახალი რეკორდები მყარდებოდა. ცხადია, მათი უმეტესობა რესპუბლიკური მასშტაბისა იყო, მაგრამ ასპარეზობისას რამდენიმე საკავშირო მიღწევაც გაუმჯობესდა.

ოთხდღიანი შეჯიბრება საერთო გუნდურ ჩათვლაში რსფსრ-ს კოლექტივის გამარჯვებით დამთავრდა. II ადგილზეა უკრაინის გუნდი, III — მოსკოვის ნაკრები.

როგორც ცნობილია, მძლეოსნობაში, ცურვასა და ტანვარჯიშში მოასპარეზე მოზარდების შედეგები სპარტაკიადის მონაწილე სპორტული დელეგაციების საერთო ჩათვლაში შედის. ამ შედეგებს საერთო ადგილების განაწილებაში მნიშვნელოვანი კორექტივების შეტანა შეუძლია და ამიტომ მოზარდები ყველა სახეობაში თავდაუზოგავად იბრძვიან.

ჩვენთვის ცნობილია ზოგიერთი ტექნიკური შედეგი ვორონეჟის პირველი დღის სტარტებისა, სადაც საქართველოს ათლეტებმა ჩათვლა მიიღეს. 4X100 მეტრზე ჭაბუკთა ესტაფეტაში გაიმარჯვა უკრაინის გუნდმა — 41,5 (ამ რესპუბლიკის რეკორდი ჭაბუკთა შორის). საქართველოს კვარტეტმა რესპუბლიკური რეკორდით (42,3) VII ადგილი დაიკავა. 2000 მეტრზე წინაღობებით რბენა მოსკოველმა ბეკლემეშევმა მოიგო — 5.49,2. თბილისელი არჯევანიძე მას 14,4 წამით ჩამორჩა და VI ადგილზე გავიდა. შუბის მტყორცნელ ვაჟთა ტურნირში პირველობა წილად ხვდა უკრაინელ ქურებცოვს — 65,44 მ. ორფანოვმა (საქართველო) 62,12 მ აჩვენა, რაც ფინალში მეშვიდე შედეგი იყო. ბირთვის მკვრელ ჭაბუკთა ფინალურ ტურნირში დამაკმაყოფილებელი მაჩვენებელი (15,31) მოიპოვა ხმელიძემ, რამაც სპორტსმენს V ადგილი მოუტანა. ჩემპიონი გახდა მარიკუცა (უკრაინა) — 15,87.

1500 მეტრზე მორბენალთა შეჯიბრებაში სსრ კავშირის ჭაბუკთა რეკორდი დაამყარა ზატონსკიმ (რსფსრ) — 3.49,1, რაც ძველ მიღწევას 1,7 წამით სჯობს. 4X400 მეტრზე ესტაფეტაში გოგონების საკავშირო რეკორდი დაამყარა რსფსრ-ს კვარტეტმა (ივანოვოელი ვაიგარტენი, ჩელიაბინსკელი ზვიაგინცევა, სვერდლოვსკელი ბუბანინა და ბრიანსკელი მუშტა) — 3.44,8. ამ გუნდმა ძველი რეკორდი ერთბაშად 4 წამით გააუმჯობესა.

აღსანიშნავია, რომ სიმაღლეზე მხტომელ გოგონათა შეჯიბრებაში სპორტის ოსტატის ნორმატივი 8 სპორტსმენმა შეასრულა, გამარჯვებულმა ნ. კოზეევამ (რსფსრ) კი 174 სმ დაძლია. 800 მეტრზე მორბენალ გოგონებში უძლიერესი ფოტოფინიშმა გამოავლინა: ჩემპიონობა ვაიგარტენს დარჩა — 2.06,4. ათჭიდში 7000 ქულას (ეს მოზრდილებსაც შეშურდებოდათ) ორმა უკრაინელმა გადააჭარბა— ცნობილი შუბის მტყორცნელის, ოლიმპიური ჩემპიონის ვ. ციბულენკოს ვაჟმა სერგეიმ და იაჩმენევმა. ხუთჭიდში ლატვიელმა ვიდანემ 4641 ქულა დააგროვა, ჩელიაბინსკელმა ბრიჟატიუკმა კი 100 მ 11,9 წამში გაირბინა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## უმაღლესი ლიგა

# სტატისტიკა, სტატისტიკა

## პირველი წრის მიხედვით და ზოგიერთი სხვა რამ

სულ პირველი წრის 119 მატჩში (გადადებულია მხოლოდ „შახტიორისა“ და თბილისის „დინამოს“ თამაში) მონაწილეობდა 318 ფეხბურთელი, მათგან 41 უმაღლესი ლიგის დებიუტანტია. განვლილი 4 თვის მანძილზე ძირითად შემადგენლობებში მტკიცედ მოიდგეს ფეხი: დ. ყიფიანმა („დინამო“, თბილისი), ვ. დოროფეევმა (ცსკა), ვ. ეგოროვიჩმა („სპარტაკი“), ვ. ბელოუსოვმა („ზარია“), ვ. კოლოტოვმა, ვ. მატვიენკომ („დინამო“, კიევი), ი. მატვიენკომ, ვ. ჩურკინმა (ასკ, დონის როსტოვი), მ. ვერგეენკომ, ა. ლუპანოვმა, ნ. სმირნოვმა („დინამო“, მინსკი), ვ. შევლიუკმა („შახტიორი“). ს. ბაიშაკოვმა („ყაირათი“).

მატჩების მსვლელობაში მწვრთნელები ახდენდნენ შეცვლებს. 14-მა შემცვლელმა მოთამაშემ გაიტანა 16 გოლი, ამასთან, მათ შვიდ მატჩში გამარჯვება მოუტანეს თავიანთ გუნდებს, ხოლო სამში — წაგებას გადაარჩინეს. მინდორზე შემცვლელად გამოსვლისას 2-2 გოლი გაიტანეს სპარტაკელმა ვ. ეგოროვიჩმა და კარპატელმა ნ. რიბაკმა.

პირველ წრეში ყველაზე სტაბილური შემადგენლობით თამაშობდნენ თბილისის „დინამო“ და „არარატი“. ამ გუნდებიდან სათამაშოდ გამოვიდა 17-17 ფეხბურთელი როსტოვის არმიელთა გუნდიდან, პირიქით, არც ერთ ფეხბურთელს არ ჩაუტარებია ყველა 15 მატჩი. როსტოველთაგან ითამაშა 24 ფეხბურთელმა, ხოლო „ზარიადან“ — 23-მა.

**ჯ. გოგლიძე.**

• • •

პირველ წრეში კიევის დინამოელებმა ზედიზედ ჩაატარეს 9 მატჩი ისე, რომ არც ერთი ბურთი არ გაუშვიათ.

„არარატი“ ერთადერთია, რომელმაც ზედიზედ 4 გამარჯვება მოიპოვა, აქედან, 3 გასვლითი შეხვედრა ჰქონდა.

„შახტიორი“ ერთადერთია, რომელმაც ზედიზედ 5 მატჩი წააგო. ამას გარდა, მან მარცხის სიმწარე იწვნია ყველა გასვლით შეხვედრაში.

მოსკოვის „დინამო“ ერთადერთია, რომელსაც ერთ მატჩში გაშვებული არა აქვს 1 ბურთზე მეტი.

თბილისის „დინამო“ ერთადერთია, რომელსაც არ წაუგია არც ერთი გასვლითი მატჩი და არც ერთი ფრე არ გაუკეთებია შინ.

ყველაზე მეტი ქულა (14) შინ აიღო „ნევთჩიმ“. ამას გარდა, ეს გუნდი ერთადერთია, რომელმაც ერთ მატჩში 5 გოლის გატანა შეძლო.

**მ. ყიფშიძე,**
საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის IV კურსის სტუდენტი.

• • •

პირველ წრეში სულ გატანილი იქნა 245 გოლი: შესვენებამდე — 103, შესვენების შემდეგ — 142.

მასპინძლებმა აშკარად დაჯაბნეს სტუმრები: მათ მოიგეს 55, ფრედ დაამთავრეს 46 და წააგეს 18 მატჩი. მასპინძლებმა გაიტანეს 157 გოლი, სტუმრებმა — 88.

ყველაზე მეტი გოლი გატანილი იქნა „ნევთჩისა“ და „სპარტაკის“ მატჩში — 8. შარშანდელი ჩემპიონატის მატჩებში ასეთი შედეგიანობა არ ყოფილა.

იმ 113 ფეხბურთელიდან, რომლებმაც პირველ წრეში გაიტანეს გოლები, ხუთმა (შმუცი, შესტერნიოვი, ისტომინი, დანილჩუკი და სოროკა) ბურთები საკუთარ კარში მოათავსა, ხოლო სამმა (ფ. აბრამიანი, ასილბაევი და სოროკა) — როგორც საკუთარ, ისე მეტოქის კარში.

19 პენალტიდან 13 მასპინძელთა სასარგებლოდ იქნა დანიშნული. 15 პენალტი გოლად იქცა. საბოსა და გაჯიევის დარტყმები აიღეს კრამარენკომ და გოვოროვმა, ხოლო შულიატიცკიმ და ლოგოფეტმა ძელს მოახვედრეს ბურთები. 5 პენალტი დაარტყა „კარპატიმ“, 3 დაარტყეს „ყაირათის“ კარში.

მოსკოველმა მსაჯმა ი. ლუკიანოვმა დანიშნა 4 პენალტი.

ბაქოელ ფეხბურთელებს მეტოქის მინდორზე არც ერთი მატჩი არ მოუგიათ 1969 წლის შემდეგ.

**გ. მადუაშვილი.**

• • •

თბილისის „დინამოში“ ყველა მატჩი ჩაატარეს ურუშაძემ, ებრალიძემ, ხურცილავამ, პეტრიაშვილმა, მაჩაიძემ, კუტივაძემ, გ. ნოდიამ, ლ. ნოდიამ.

სტუმრად ყველაზე მეტი შეხვედრა (4-4) აქვთ მოგებული კიევის „დინამოს“ და „არარატს“.

„შახტიორის“ ფეხბურთელებმა სტუმრად ვერ შეძლეს ვერც ერთი ბურთის გატანა, საკუთარში კი მიიღეს 8, ამასთან, ექვს მატჩში დამარცხდნენ მინიმალური ანგარიშით — 0:1.

ყველაზე მეტი „ავტოგოლი“ გაიტანა ცსკა-მ (შმუცი, ისტომინი, შესტერნიოვი).

**დ. კილურაძე,**
X კლასის მოსწავლე.
ჭიათურა.

• • •

მეორე ეშელონის გუნდებიდან ერთადერთია ლვოვის „კარპატი“, რომელმაც შეძლო ჩვენში დაწესებული დიდი ფეხბურთის პრიზების მოგება (1968 წელს — უკრაინულ ჟურნალ „სტარტის“ პრიზი „საუკეთესო სხვაობისთვის“).

საკავშირო ჩემპიონატების დებიუტანტებიდან არც ერთ გუნდს არა ჰქონია ისეთი წარმატება, როგორიც თბილისის „დინამოს“. თბილისელებმა 1936 წლის საშემოდგომო ჩემპიონატში III საპრიზო ადგილი მოიპოვეს და თასის ფინალშიც გავიდნენ.

ლვოვის „კარპატი“ ერთადერთია, რომელმაც სსრ კავშირის თასის გათამაშებათა ისტორიაში მოიგო ეს პრიზი II ჯგუფის გუნდებიდან.

სსრ კავშირის თასის ფინალები მხოლოდ ორჯერ შედგა 2 ნოემბერს და ორივეჯერ ერთმანეთს შეხვდნენ მოსკოვის გუნდები — „ტორპედო“ და „სპარტაკი“. ორივე ეს ფინალური მატჩი დამთავრდა ერთნაირი ანგარიშით — 1:0. 1952 წელს გაიმარჯვეს ტორპედოელებმა, 1958 წელს — სპარტაკელებმა.

**ნ. კაპანაძე,**
მე-2 საშუალო სკოლის IX კლასის მოსწავლე.
ჭიათურა.

• • •

1938 წლიდან ქვეყნდება საბჭოთა ქვეყნის საუკეთესო ფეხბურთელთა სია. ეს სია გამოქვეყნდა 17-ჯერ. მასში სულ დასახელებულია თბილისის „დინამოს“ 25 ფეხბურთელი.

ერთ სეზონში ყველაზე ნაკლები რაოდენობით თბილისის „დინამოდან“ მოთამაშე დასახელებული იყო 1957 წელს — მხოლოდ ვ. ელოშვილი.

ყველაზე მეტი რაოდენობით საუკეთესოთა სიაში თბილისელები მოხვდნენ 1964 წელს, ესე იგი, როცა ჩვენი გუნდი ჩემპიონი იყო — 9 მოთამაშე.

ყველაზე მეტჯერ უძლიერესთა შორის მოხვდა მ. ხურცილავა — 7-ჯერ. მ. მესხი 6-ჯერ იყო საუკეთესოთა სიაში და მუდამ პირველ ნომრად.

**გ. ოგოლაშვილი.**

## სსრ კავშირის პირველობა

## I ლიგა

• •

### გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 20 ივლისისთვის

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „ლოკომოტივი“ (მოსკოვი) | 21 | 13 | 6 | 2 | 31—15 | 32 |
| „დნეპრი“ (დნეპროპეტროვსკი) | 21 | 11 | 6 | 4 | 35—18 | 28 |
| „ტექსტილშჩიკი“ (ივანოვო) | 21 | 8 | 11 | 2 | 24—13 | 27 |
| „ჩერნომორეცი“ (ოდესა) | 20 | 9 | 7 | 4 | 18—11 | 25 |
| „შახტიორი“ (ყარაგანდა) | 21 | 8 | 7 | 6 | 15—16 | 23 |
| „დინამო“ (ლენინგრადი) | 21 | 8 | 5 | 8 | 20—17 | 21 |
| „ურალმაში“ (სვერდლოვსკი) | 21 | 7 | 7 | 7 | 14—14 | 21 |
| „ჟალგირისი“ (ვილნიუსი) | 21 | 7 | 7 | 7 | 19—20 | 21 |
| „ტორპედო“ (ქუთაისი) | 21 | 6 | 9 | 6 | 22—25 | 21 |
| „შინიკი“ (იაროსლავლი) | 21 | 8 | 5 | 8 | 19—22 | 21 |
| „პამირი“ (დუშანბე) | 21 | 8 | 4 | 9 | 19—18 | 20 |
| „მეტალისტი“ (ხარკოვი) | 21 | 8 | 4 | 9 | 19—21 | 20 |
| „კრ. სოვეტოვი“ (კუიბიშევი) | 21 | 7 | 5 | 9 | 19—21 | 19 |
| „სპარტაკი“ (ორჯონიკიძე) | 20 | 7 | 5 | 8 | 21—24 | 19 |
| „კუზბასი“ (კემეროვო) | 21 | 6 | 7 | 8 | 18—27 | 19 |
| „მეტალურგი“ (ზაპოროჟიე) | 20 | 5 | 8 | 7 | 15—17 | 18 |
| „ალგა“ (ფრუნზე) | 21 | 5 | 8 | 8 | 14—19 | 18 |
| „სტროიტელი“ (აშხაბადი) | 20 | 7 | 3 | 10 | 18—24 | 17 |
| „მოლდოვა“ (კიშინიოვი) | 20 | 4 | 9 | 7 | 12—18 | 17 |
| „დაუგავა“ (რიგა) | 21 | 5 | 7 | 9 | 10—16 | 17 |
| „რუბინი“ (ყაზანი) | 21 | 5 | 6 | 10 | 17—22 | 16 |
| „ვოლგარი“ (ასტრახანი) | 20 | 4 | 8 | 8 | 14—19 | 16 |

# ადგილები და პრიზები

საბჭოთა ქვეყნის სხვადასხვა ქალაქში სულ ახლახან დამთავრდა მოზარდ ფეხბურთელთა გუნდების საკავშირო შეჯიბრებები.

საქართველოს მოსწავლეთა ნაკრები (1955-56 წლებში დაბადებულნი) თამაშობდა მინგეჩაურში. აქ მან დაამარცხა ყირგიზეთისა (1:0) და აზერბაიჯანის (2:0) გუნდები, ფრედ ითამაშა ბელორუსიის (1:1), ლატვიისა (0:0) და ტაჯიკეთის (0:0) წარმომადგენლებთან, რითაც გაინაღდა „სიჭაბუკის თასის“ საკავშირო შეჯიბრების ფინალის საგზური. აქ ჩვენებს მეტოქეები იქნებიან მოსკოვის, რსფსრ-ს, უზბეკეთის, ბელორუსიისა და სომხეთის გუნდები.

საქართველოს ნაკრებს ამზადებენ სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელი ს. სიხარულიძე და ო. კინწურაშვილი. აღსანიშნავია, რომ ჩვენი ფეხბურთელი გ. გოგოლაშვილი აღიარეს ტურნირის საუკეთესო ნახევარმცველად, ხოლო გ. კრავჩენკო — საუკეთესო თავდამსხმელად. ორივე მოთამაშე დაჯილდოებულია სპეციალური პრიზებით.

ბელაია კალიტვაში, კოტოვსკსა და შეპეტოვკაში გაიმართა 1953-54 წლებში დაბადებულ მოზარდთა საკავშირო შეჯიბრების ნახევარფინალური ტურნირები.

რუსთავის „მეტალურგმა“ წარმატებას მიაღწია ბელაია კალიტვაში, სადაც დაამარცხა ჩელიაბინსკის „ლოკომოტივი“ (2:0), ტაშკენტის „ფახთაქორი“ (3:0), ალმაათის საფეხბურთო სკოლა (2:0), ფრედ ითამაშა დონეცკის „შახტიორთან“ და სუმგაითის „ფოლადთან“ (ორივეჯერ — 0:0). რუსთაველები 26 აგვისტოს კიევში ჩაებმებიან ფინალურ ბრძოლებში, სადაც მათ გარდა ითამაშებენ მოსკოვის „დინამო“, ლვოვის „კარპატი“, ცსკა, კიევის „დინამო“ და ყარაგანდის „შახტიორი“.

უკვე ის ფაქტი, რომ რუსთაველი ნორჩები, რომლებსაც ამზადებს საქართველოს სსრ დამსახურებული მწვრთნელი რ. მახარაძე, გავიდნენ ფინალში, დიდ დამსახურებად უნდა ჩაითვალოს. ამ გუნდის მოთამაშე პ. ხვიჩია აღიარეს ტურნირის საუკეთესო მცველად, ხოლო ე. ყაველაშვილი — საუკეთესო ნახევარმცველად. აღნიშვნის ღირსია თავდამსხმელი ფ. აზაძე, რომელმაც 4 ბურთი გაიტანა.

არ გაუმართლა კოტოვსკში თბილისის ახალგაზრდული საფეხბურთო სკოლის გუნდს, რომელმაც პირველობა ცსკა-ს დაუთმო. აქ თბილისელი რ. ხოფერია ტურნირის საუკეთესო თავდამსხმელად იქნა აღიარებული.

პირველად მონაწილეობდნენ ასეთი მასშტაბის შეჯიბრებაში გაგრის ახალგაზრდული საფეხბურთო სკოლის წარმომადგენლები. შეპეტოვკაში მათ გაუსწრეს ერევნის „არარატს“, კრასნოდარის „კუბანს“, ლიპეცკის „მეტალურგს“ და დაიკავეს III ადგილი. გამარჯვება აქ წილად ხვდა კიევის „დინამოს“ გამოცდილ კოლექტივს.

**ნ. ამირეჯიბი,**
რესპუბლიკური კატეგორიის მსაჯი.

## [illegible]

### ✦ წულუკიძე

დამთავრდა რაიონის საფეხბურთო თასის გათამაშება, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს 8 ფიზკულტურული კოლექტივის წარმომადგენლებმა. ფინალში ერთმანეთს შეხვდნენ საქართველოს „პოლიმეტალის“ ფილიალის „ქიმიკოსი“ და ავტოსატრანსპორტო კონტორის გუნდები. მატჩის ძირითადი დრო დამთავრდა ფრედ — 2:2. 11-მეტრიანი დარტყმების სერიამ გამარჯვება მოუტანა „ქიმიკოსს“ — 6:5.

**ზ. ყუფარაძე.**

# „ფიროსმანი“ — პირველ ადგილზე

ყვარელში დამთავრდა „ტყავის ბურთის“ პრიზის რესპუბლიკური გათამაშება უმცროსი ასაკის ბავშვთა შორის.

გადამწყვეტი მატჩი შედგა თბილისის „ფიროსმანსა“ და ბათუმის „მერცხალს“ შორის. ეს იყო საინტერესო თამაში, რომელიც თბილისელებმა მოიგეს—8:1. II ადგილზეა „მერცხალი“, ხოლო III—„ქადარი“ (თელავი).

საპრიზო ადგილებზე გასულ გუნდებს გადაეცათ თასები, მედლები, სამახსოვრო საჩუქრები და სიგელები.

სურათებზე: ტურნირში გამარჯვებული თბილისის „ფიროსმანი“ (მწვრთნელები გ. მამალაძე და უ. დოლონაძე); ფინალური მატჩის მომენტი.

ა. კავკასიძის ფოტო.

ეროვნული

ჭადრაკის საერთაშორისო დღის გამო

# ახალი მწვერვალების დასაპყრობად!

**ა. ჭირაქაძე,**

საქართველოს ჭადრაკის ფედერაციის პრეზიდიუმის თავმჯდომარე,
საქართველოს სსრ ფინანსთა მინისტრი

სსრ კავშირის ჭადრაკის ფედერაციის წინადადებით ფიდე-ს 39-ე კონგრესმა (1968 წ. ლუგანო) გადაწყვიტა, რომ ჭადრაკის საერთაშორისო დღე ყოველწლიურად 20 ივლისს აღინიშნებოდეს. საინტერესოა, რომ სწორედ 1924 წლის 20 ივლისს პარიზში შეიქმნა ფიდე — ჭადრაკის საერთაშორისო ფედერაცია.

ჭადრაკის საერთაშორისო დღემ კიდევ უფრო უნდა შეუწყოს ხელი ბრძნული თამაშის გავრცელებას სამყაროში. ამჟამად ფიდე დაახლოებით 80 ქვეყანას აერთიანებს, ესე იგი, ჭადრაკი ჯერ კიდევ არ არის აღიარებული ჩვენი პლანეტის ყველა საჩულმწიფოში. კეთილშობილური თამაში კი ყოველი ადამიანის გართობისა და დასვენების საგნად უნდა იქცეს.

თავიანთი ზეიმის დღეს მოჭადრაკეებიც მიმოიხილავენ ხოლმე განვლილ გზას, საუბრობენ მომავალზე. ტრადიციას არც ჩვენ დავარღვევთ.

საქართველო ჭადრაკის უძველესი ქვეყანაა. დღეს ჩვენი რესპუბლიკა ერთ-ერთი მოწინავე რაზმია საბჭოთა საჭადრაკო ორგანიზაციაში. ჩვენს გამოჩენილ მოჭადრაკეებს მსოფლიო იცნობს.

რა თქმა უნდა, ეს წარმატებები თავისთავად არ მოსულა. პარტიისა და მთავრობის ხელშეწყობით, ქართველი კაცის ნიჭმა და მუყაითმა შრომამ სასურველი ნაყოფი გამოიღო. პატივისცემით უნდა გავიხსენოთ ქართული ჭადრაკის აწ განსვენებული ღვაწლმოსილი მოამაგენი ვ. გოგლიძე, ა. ებრალიძე, ა. სმოროდსკი, ა. ფალავანდიშვილი, ა. პეტრაკოვსკი, პაოლო იაშვილი, ვ. ქარსელაძე და სხვ. მადლობა ვუთხრათ ყველას, ვინც წრფელი გულით ემსახურებოდა და დღესაც ემსახურება ჩვენს საჭადრაკო მოძრაობას.

საქართველო მოჭადრაკე ქალთა შორის მსოფლიო და ევროპის ჩემპიონების სამშობლოა. ამიტომ ჩვენში ტრადიციად იქცა ქალთა საერთაშორისო ტურნირები. ვაჟებისთვის ვმართავთ ვ. გოგლიძისა და ვ. ქარსელაძის მემორიალებს. ბევრი სახელოვანი დიდოსტატისა და ოსტატის მასპინძელი ვყოფილვართ, მაგრამ გამარჯვება იშვიათად თუ ვინმესთვის დაგვითმია.

თავდადებული მეცადინეობით იქმნება ქართული საჭადრაკო ლიტერატურა. დაიწერა საქართველოში ჭადრაკის ისტორიის პირველი გამოკვლევა, ჭადრაკის სახელმძღვანელო ქართულ ენაზე. დიდი ტურნირების დროს წესად ვაქციეთ სპეციალური ბიულეტენების გამოცემა. უკვე მეოთხე წელია არსებობს სატელევიზიო საჭადრაკო ჟურნალი „სამორინე", წლეულს კი დაისტამბა საჭადრაკო ალმანახის „ჭადრაკის" პირველი ნომერი. გადაწყვეტილია გაისიდან ალმანახი ყოველ კვარტალში გამოვიდეს.

საქართველოს კომპარტიისა და მთავრობის გადაწყვეტილებით თბილისში მალე დამთავრდება საჭადრაკო კლუბის სამსართულიანი, კომფორტაბელური შენობა, ეს, რა თქმა უნდა, საგრძნობლად შეუწყობს ხელს ჩვენი საჭადრაკო ცხოვრების წინსვლას. კლუბი ყველა დიდი შეჯიბრების სარბიელი გახდება.

ჩვენს მოჭადრაკეებს და მათს ფედერაციას ფიზკულტურისა და სპორტის რესპუბლიკური კომიტეტის ყურადღება არ აკლიათ. ეს, რა თქმა უნდა, განაპირობებს კიდევ ახალ წარმატებებს.

საქართველოს მოჭადრაკეების მწვრთნელების, ორგანიზატორების წინაშე ცხოვრება ახალ ამოცანებს აყენებს. მართალია, ჭადრაკმა ჩვენში დიდი პოპულარობა მოიხვეჭა, მაგრამ მეტი უნდა ვეთდებოდეს ხალხის ფართო ფენებში მისი გავრცელებისთვის. საჭიროა ცნობილი ოსტატების, მწვრთნელების, მიმომხილველების უფრო ხშირი შეხვედრები საწარმო-დაწესებულებათა, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების, სკოლების მოჭადრაკეებთან. სისტემატურად უნდა ვაწყობდეთ ერთდროული თამაშის სეანსებს, ლექციებს და სხვ. ტალანტები მასებში უნდა ვეძებოთ. ამ მიზნით უნდა გავზარდოთ ტურნირების რაოდენობა, გავახშიროთ მოსწავლეთა შეხვედრები, ვამრავლოთ ჭადრაკის შემსწავლელთა ჯგუფები, გამოვცეთ სპეციალური ლიტერატურა...

საჭიროა ტრადიციად ვაქციოთ საქართველოს მოჭადრაკეთა ნაკრები გუნდის საერთაშორისო შეხვედრები. პირველად ჩვენმა მოჭადრაკეებმა საერთაშორისო მატჩში 1960 და 1961 წლებში ითამაშეს რუმინეთის გუნდთან და გაიმარჯვეს. ამის შემდეგ ჩვენი საჭადრაკო ორგანიზაცია საგრძნობლად გაიზარდა. გუნდიც გაძლიერდა. დღეს ჩვენ გვყავს მსოფლიო ჩემპიონი ნ. გაფრინდაშვილი, მსოფლიო პირველობის პრეტენდენტი ნ. ალექსანდრია, დიდოსტატები ბ. გურგენიძე, ე. გუფელდი, საერთაშორისო ოსტატები რ. ჯინჯიხაშვილი, ა. ჩაიკოვსკაია და ათზე მეტი სპორტის ოსტატი. ეს დიდი ძალაა. ცხადია, რომ საქართველოს გუნდს შეუძლია ევროპის ბევრი ქვეყნის კოლექტივს გაუმკლავდეს.

საქართველოს მოჭადრაკეები წარმატებით მონაწილეობდნენ სსრ კავშირის ხალხთა სპარტაკიადებში. ახლა ჭადრაკი ამოიღეს სპარტაკიადის პროგრამიდან. სამაგიეროდ, გაისიდან მოეწყობა საბჭოთა საჭადრაკო ოლიმპიადები. საჭიროა აქედანვე ვემზადოთ ამ უაღრესად სერიოზული შეჯიბრებისთვის.

ჭადრაკი უყვარს ქართველ ხალხს. ამიტომ დიდია მისი სიყვარული ჭეშმარიტი მოჭადრაკეებისადმი. ამის ნათელი გამოხატულებაა ის, რომ ხალხმა ნონა გაფრინდაშვილი რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დეპუტატად აირჩია. ეს ნდობა ბევრს გვავალებს ყველას — მოჭადრაკეებს, მწვრთნელებს, ჭადრაკის მესვეურთ და გულშემატკივრებს.

დასასრულს გვინდა მივულოცოთ ჭადრაკის საერთაშორისო დღე ყველას, ვინც თამაშობს ჭადრაკს, უყვარს ეს ბრძნული თამაში, ვინც ფიქრობს და ოცნებობს ქართული საბჭოთა ჭადრაკის წინსვლაზე.

### ჩხოროწყუ

სამ დღეს გრძელდებოდა რაიონული პირველობა მაგიდის ჩოგბურთში. შეჯიბრებაში „განთიადის", „კოლმეურნისა" და „სპარტაკის" სპორტსმენები მონაწილეობდნენ. გამარჯვეს განთიადელებმა, ხოლო II ადგილზე „კოლმეურნის" წარმომადგენლები გავიდნენ.

ს. ჯალაღონია.

# წვიმასა და ქარში

შაულიაი, 19 ივლისი. ლენინგრადის ელექტროტექნიკური ინსტიტუტის სტუდენტმა, საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატმა ვ. ფიოდოროვამ მეორედ მოიპოვა ქვეყნის ჩემპიონობა ერთადგილიანი ნავით აკადემიურ ნიჩბოსნობაში. ამავე კლასის ნავებით შეჯიბრებაში ვერცხლის მედალი დაისაკუთრა ასევე ნევისპირა ქალაქის წარმომადგენელმა გ. ბურლაკოვამ.

ტალშის ტბაზე გუშინ დამთავრებულ შეჯიბრებაში ხუთი მოკავშირე რესპუბლიკის, მოსკოვისა და ლენინგრადის 230 სპორტსმენი მონაწილეობდა. ასპარეზობა რთულ პირობებში ჩატარდა — სამივე დღეს ძლიერი ქარი ქროდა და წვიმდა.

ინტერესით ელოდნენ უმესაჭო ორადგილიანების ფინალურ ბრძოლას. ეს კლასი ქვეყნის ქალთა ჩემპიონატების პროგრამაში პირველადაა შეტანილი. ყველაზე სწრაფი აღმოჩნდა ლენინგრადის „დინამოს" ეკიპაჟი. II ადგილზე არიან ამ გუნდის მოსკოველი თანაკლუბელები.

გაგაცნობთ გამარჯვებულებთა შედეგებს: ერთადგილიანი: ვ. ფიოდოროვა („დინამო", ლენინგრადი) — 3.47,6; ორადგილიანი წყვილმოსასმელიანი — „ტრუდი" (ლენინგრადი) — 3.30,00; უმესაჭო ორადგილიანი — „დინამო" (ლენინგრადი) — 3.49,2; ოთხადგილიანი გასაშლელი — „სპარტაკი" (მოსკოვი) — 3.21,8; ოთხადგილიანი წყვილმოსასმელიანი — „დინამო" (მოსკოვი) — 3.15,8; რვაადგილიანი — რსფსრ-ს ნაკრები (ნოვგოროდის „სპარტაკი" და სარატოვის „დინამო") — 3.06,0.

### ცურვა

**ტაშკენტი**, 19 ივლისი. 15 საკავშირო და 10 მსოფლიო რეკორდი — ასეთია წყალქვეშ ცურვაში აქ გამართული საკავშირო პირად-გუნდური ჩემპიონატის მთავარი შედეგი. სსრ კავშირის წარმომადგენლებს „ფარფლიან თა" სპორტში ყველა უმაღლესი მსოფლიო მიღწევა ეკუთვნით და ამიტომ ტაშკენტში მოასპარეზეები თავიანთ რეკორდებს უტევდნენ და ძალიან საფუძვლიანადაც.

გ. შჩერბაკოვმა (რსფსრ) 200 მ 1 წუთსა და 39,1 წამში გაცურა და შარშან პარიზში ა. კრასნიკოვის მიერ დამყარებული რეკორდი მოხსნა. მაგრამ არც კრასნიკოვი დარჩა ვალში: მან ერთბაშად ორი რეკორდი დაამყარა — 400 და 800 მეტრზე ცურვაში. ამ დისტანციებზე ორჯერ გამოიჩინა თავი ტ. ნიკიფოროვამაც.

რეკორდების ცხრილში ყველაზე მნიშვნელოვანი შესწორება შეიტანეს მოსკოველებმა ვ. ბორდაშევიჩმა, ვ. კონმა, ა. ბაშმანოვმა და მ. ფილიპენკოვმა. მათ 2 წუთსა და 55 წამში გაცურეს 4X100 მეტრზე ესტაფეტა. ეს შედეგი 3,5 წამით სჯობს უწინდელ რეკორდს.

ახალი რეკორდების ავტორებად მოგვევლინენ, აგრეთვე, ა. სალმინი და ვ. კუზი.

ზემოჩამოთვლილი მსოფლიო რეკორდების გარდა, მოასპარეზეებმა კიდევ 15 შესწორება შეიტანეს საკავშირო მიღწევების ცხრილში.

გუნდურ ჩათვლაში პირველნი იყვნენ რსფსრ-ს მოცურავეები.

### ფეხბურთი

როგორც წინა ნომერში ვიუწყებოდით, „მარაკანას" სტადიონზე ბრაზილიის ფეხბურთელთა ნაკრებიდან გაცილება მოუწყვეს 30 წლის ედსონ არანტეს დო ნასიმენტოს, რომელიც სპორტულ სამყაროში პელეს სახელითაა ცნობილი. ბრაზილია — იუგოსლავიის ამხანაგური მატჩის პირველი ტაიმის შემდეგ 200 ათასი მაყურებელი ფეხზე წამოიჭრა და გაისმა მათი ხმაშეწყობილი: „დარჩი, დარჩი, დარჩი!".

მაგრამ ოთხი მსოფლიო ჩემპიონატის მონაწილემ, ჩვენს პლანეტაზე ერთადერთმა მსოფლიოს სამგზის ჩემპიონმა თავისი მაისური, რომელსაც ნომერი 10 აწერია, გადასცა ბრაზილიელ ბიჭუნას ამაროს, სანაცვლოდ ნაკრების ფეხბურთელთაგან მათი მაისურები მიიღო და შესვენების შემდეგ მინდორზე აღარ გამოსულა.

საინტერესოა აღინიშნოს, რომ პელემ 110-ჯერ დაიცვა თავისი ქვეყნის ნაკრების ღირსება. როგორც იცით, იგი ფეხბურთს თავს არ ანებებს — უკვე ამ დღეებში თავისი კლუბის „სანტოსის" შემადგენლობაში უცხოეთის ტურნეს გზას დაადგება.

### [illegible]

● **სელიე** (იუგოსლავია), 19 ივლისი. აქ გამართულ საერთაშორისო მძლეოსნურ შეჯიბრებაში ბადროს ტყორცნაში მსოფლიო რეკორდსმენმა ჯ. სილვესტრმა (აშშ) არა მარტო „თავის" სახეობაში აჯობა ყველას, არამედ I ადგილი დაიკავა ბირთვის კვრაში — 20,01 მ. ეს იყო მისი პირველი ნატყორცნი 20-მეტრიან ზღვარს იქით, მაშინ, როცა დღესდღეობით მსოფლიოში „წმინდა" ბირთვისმკვრელთა შორისაც ერთ ათეულზე მეტს თუ დაითვლით, ვინც 20 მეტრზე იქით გზავნის ამ იარაღს. სამაგიეროდ, ბადროს ტყორცნაში სილვესტრმა თავისთვის საკმაოდ მოკრძალებული შედეგით გაიმარჯვა — 63,89 მ. 100 მეტრზე რბენაში ი. კარაშიჩ იუგოსლავიის რეკორდი გაიმეორა — 10,2. ასეთივე შედეგით მეორე იყო ე. რობერტსი (ტრინიდადი და ტობაგო). ოლიმპიურმა ჩემპიონმა, ფრანგმა ჟ. ბესონმა წლევანდელი ევროპული სეზონის ერთ-ერთი საუკეთესო შედეგით მოიგო 400 მეტრზე რბენა — 52,5. იუგოსლაველმა ბ. ბობოშეკმა ჩვენი დროისთვის ძალიან მოკრძალებული შედეგით (178 სმ) გაიმარჯვა სიმაღლეზე ხტომაში და მაინც აჯობა ევროპაში დღესდღეობით საუკეთესო მხტომელს, ავსტრიელ ი. გუზენბაუერს — 175 სმ.

● **დურჰემი**, 19 ივლისი. ამერიკის შეერთებული შტატებისა და აფრიკის ქვეყნების მძლეოსანთა აქ გამართულ მატჩში მასპინძელ ქალთა კვარტეტმა (ე. სტრონი, მ. ლენგი, ვ. ნორმანი და შ. ტუსენი) 4X440 იარდზე ესტაფეტაში 0,1 წამით გააუმჯობესა მსოფლიო რეკორდი — ეს მანძილი 3 წუთსა და 38,7 წამში გაირბინა. 400 მეტრზე თარჯრბენი მოულოდნელი შედეგით დამთავრდა: უგანდელმა ჯ. აკიი-ბუამ არა მარტო ჩამოიტოვა უძლიერესი ამერიკელი სპორტსმენები, არამედ წლევანდელი მსოფლიო სეზონის საუკეთესო დროით დაფარა ეს მანძილი — 49,0 (აფრიკის რეკორდი). 3000 მეტრზე წინაღობებით რბენაში პირველი იყო კენიელი ბ. იპჩო — 8.45,2. სიმაღლეზე მხტომელ ვაჟთა შორის ახალმა მსოფლიო რეკორდსმენმა, ამერიკელმა პ. მატცდორფმა 224 სმ გადალახა, ხოლო 1500 მეტრზე რბენაში გაიმარჯვა ოლიმპიურმა ჩემპიონმა, კენიელმა კ. კეინომ — 3.37,5.

# პრეტენდენტთა ნახევარფინალური მატჩები

**პეტროსიანი — კორჩნოი 4:4**

**მოსკოვი**, 19 ივლისი. ფინიშმა დიდძალი მაყურებელი მიიზიდა პეტროსიან — კორჩნოის მატჩის VIII პარტიაზე. ბრძოლა ახალინდური დაცვით დაიწყო და მწვავე თამაში იყო მოსალოდნელი. კორჩნოიმ ცენტრში დააყენა მხედარი, მაგრამ მერე რატომღაც მისი გაცვლა ამჯობინა. შემდეგ პეტროსიანმა ჰოლანდიური დაცვისთვის დამახასიათებელი სქემის არჩევით ცენტრი გაამაგრა. და აი, მე-16 სვლაზე, როცა ყველა დიდ ბრძოლას ელოდა, კორჩნოის წინადადებით მეტოქენი დაზავდნენ.

**VIII პარტია**

კორჩნოი — პეტროსიანი

1. c4 მf6 2. მf3 e6 3. d4 b6 4. g3 კa6 5. b3 კb4+ 6. კd2 კe7 7. კg2 d5 8. მe5 0—0 9. 0—0 c6 10. კc3 მfd7 11. მ:d7 მ:d7 12. მd2 ეc8 13. e4 ეf5 14. a4 მf6 15. e5 ეe7 16. a5. ყაიმი.

მატჩში ორი პარტია დარჩა სათამაშო. თუ ეს შეხვედრებიც ყაიმით დამთავრდა, მაშინ 6 დამატებითი პარტია დაინიშნება. გამარჯვებს ის, ვინც პირველი მოიგებს. მაგრამ, დამატებითი შეხვედრებიც ყაიმით რომ დასრულდეს, მაშინ ფინალისტს კენჭისყრა დაასახელებს.

**ფიშერი — ლარსენი 5:0**

**V პარტია**

ფიშერი — ლარსენი

1. e4 c5 2. მf3 d6 3. d4 cd 4. მ:d4 მf6 5. მc3 მc6 6. კc4 e6 7. კb3 კe7 8. კe3 0—0 9. 0—0 კd7 10. f4 ლc8 11. f5 მ:d4 12. კ:d4 ef 13. ლd3 fe 14. [illegible] 15. [illegible] 16. [illegible] 17. [illegible] 18. [illegible] 19. [illegible] 20. [illegible] 21. [illegible] 22. [illegible] 23. [illegible] 24. c4 a5 25. [illegible] 26. [illegible] 27. [illegible] 28. [illegible] 29. [illegible] 30. [illegible] 31. კd2 ეd3 32. [illegible] 33. კc3 [illegible] 34. [illegible] 35. [illegible] 36. [illegible] 37. [illegible] 38. [illegible] 39. კc3 კe3 40. [illegible] 41. [illegible] 42. [illegible] 43. a6 მf6 44. a7 მb7 45. მd5 h4 46. მf6. ლარსენი დანებდა.

მეტოქეებმა სიცილიური დაცვა გაითამაშეს. ფიშერმა კვლავ მიმართა საბჭოთა ოსტატის სოზინის სისტემას, რაც მან ღრმად დამუშავებული ჰქვს. ლარსენმა ისევ ის ვარიანტი აირჩია, რომელიც III პარტიაში გამოიყენა. პოზიცია გამწვავდა. ლარსენს ალბათ ვარიანტის გაძლიერება ჰქონდა განზრახული. ფიშერი ჩაფიქრდა... ნახევარი საათით, რაც პრეტენდენტთა მატჩებში აქამდე არ გაუკეთებია. რა თქმა უნდა, ეს დრო მან არ გაუცდენია — პაიკის შეწირვით ხელი იგდო ინიციატივა. ფიშერმა არც ეს იკმარა: ხარისხის შეწირვით ბრძოლა უკეთეს ენდშპილში გადაიყვანა. ხარისხი რომ დაებრუნებინა, ლარსენი ალბათ შეძლებდა პოზიციის გათანაბრებას, მაგრამ დანიელ დიდოსტატს ისე უნდოდა უპირატესობის მიღება, რომ ხარისხი არ დაუბრუნა. მაგრამ ეს არ გამოუვიდა.

როცა ფიშერის პოზიცია კიდევ უფრო გაძლიერდა (თამაშში თვით მეფე ჩაება), ლარსენმა უკან დაიბრუნა ხარისხი. მატერიალური თანაფარდობა აღადგინა, მაგრამ მდგომარეობა მაინც ვერ გააუმჯობესა. ფიშერმა არ დააყოვნა მოგება მაინის (კიდური გამვლელი პაიკის) გამოყენება.

რედაქტორი მ. კაკაბაძე.

# ნანგა პარბატზე — თექვსმეტივე!

მუდმივი სიცივე და თეთრი სიმუდრუმე, გოლიათი მთები, ცას რომ შეებჯინან — აი, ეთია ჰიმალაი! დღეს უკვე როდი გაბედავს მთამსვლელთა „უველაზე საშინელი" მწვერვალის ნანგა პარბატის იერიშს, რომლის სიმაღლე ზღვის დონიდან 8125 მეტრია. და აი, იგი დაიპყრო თექვსმეტმა მამაცმა ჩეხოსლოვაკიელმა მთამსვლელმა. მათ [illegible] ხანი მაღალ ტატრებში დაჰყვეს გამოცდილების შესაძენად. თუმცა სამართლიანობა მოითხოვს ითქვას, რომ მაღალი ტატრები ჰიმალაის „[illegible]" არ არის. [illegible] წლის წინათ „ჰიმალაის ტატრების ექსპედიცია 69"-მ მხოლოდ 6790 მეტრს მიაღწია. „8-ათასიანი" მედიდურად მალავდა თავის საიდუმლოს.

მაგრამ ყველა როდი იხევს უკან. თუმცა ნანგა პარბატი ცუდი რეპუტაციით სარგებლობს: 1895 წლის შემდეგ, როცა ამ მწვერვალის იერიში დაიწყეს, 30 მთამსვლელი დაიღუპა.

ჩეხოსლოვაკიელთა ექსპედიციამ, ი. გალფის ხელმძღვანელობით, ვაჟკაცურად შეუტია ნანგა პარბატს და მალე დაიპყრო კიდეც მწვერვალი ექსპედიციის თექვსმეტივე წევრმა. ჩეხოსლოვაკიელმა მთამსვლელებმა ბრწყინვალე ფურცელი ჩაწერეს ალპინიზმის ისტორიაში.

**საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტი გატყობინებთ**

„ლელოს" 11 ივლისის ნომერში დაიბეჭდა განცხადება, რომლითაც საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტი აცხადებს მიღებას დაუსწრებელი სწავლების ფაკულტეტების I კურსზე.

განცხადებაში შეტანილია შესწორება:

საპედაგოგიო ფაკულტეტზე შემსვლელნი ბიოლოგიაში გამოცდას არ აბარებენ.

ИНДЕКС 66448 საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა, ლენინის ქ. № 14. უა 02977